სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 23 0001578546

20/11/2023

"სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებისათვის 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს №1002784 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი ჰალილ გუვენის 2023 წლის 17 ნოემბრის №SDSU 178-11-2023 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება "სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებისათვის 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს №1002784 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის საუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2024 წლის 16 იანვრიდან 2 მაისის ჩათვლით; დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 7 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად."
"5. აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს:

- პირველი (შემოდგომის) სემესტრისათვის - 2023 წლის 15 სექტემბერს;
- მეორე (გაზაფხულის) სემესტრისათვის - 2024 წლის 8 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით;
- მესამე (ზაფხულის) სემესტრისათვის - 2024 წლის 15 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით."

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.
3. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან